

რულონური ბალახის საფარის პარამეტრები

1	რულონის/ბელტის ბალახს არ უნდა ერიოს ხავსი და სხვა არასასურველი (საკარანტინო) სარეველები;
2	რულონი/ბელტი არ უნდა წყდებოდეს (ირღვეოდეს) რამდენიმეჯერ დახვევისას და გაშლისას;
3	რულონის/ბელტის მიწის სისქე უნდა იყოს არანაკლებ 3 - სმ, ხოლო სიგანე - არანაკლებ 30 სმ-ისა;
4	დაგებული მწვანე გაზონი (რულონი) უნდა იყოს მოსწორებული ერთ ნიშნულზე და არ ეტყობოდეს ტალღები, ჩავარდნები და უსწორმასწორობები; მჭიდროდ უნდა ეკვროდეს ერთმანეთს, რომ შექმნას უწყვეტი "ხალიჩა";
5	ბუნებრივი ბალახის (კორდის) დაგებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში (საგარანტიო პერიოდი) მცენარეთა გახარების კოეფიციენტი უნდა იყოს 100%.
6	თუ საგარანტიო პერიოდის განმავლობაში გამოვლინდა ბალახის ხმოზა გარკვეულ მონაკვეთებზე, უნდა მოხდეს მათი ჩანაცვლება (შეცვლა) ახლით - ჩვენი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე არა უგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა; ჩანაცვლებული (შეცვლილი) ბალახისათვის საგარანტიო პერიოდი შეადგენს მისი შეცვლის დღიდან 1 წელს;
7	რულონის/ბელტის ბალახი უნდა იყოს ყინვა - გვალვამძლე;
8	კლიმატური პირობების ცვლილებების მიუხედავად ბალახის საფარი უნდა ინარჩუნებდეს სიმწვანეს მთელი წლის განმავლობაში;
9	ასაკი არანაკლებ 3 წელი; ბალახი უნდა იყოს ჯანსაღი, არ აღენიშნებოდეს დაავადება ან ხმოზა
10	ბუნებრივ ბელტში დასაშვებია იყოს მცენარეები: ჭანგა (Agropyrum), მდელოს ტიმოთელა (Phleum pzatense), შვრიელა მინდვრის (Bromus secalinus), მრავალსათიბი კოინდარი (Lolium multiflorum), სათითურა (Dactylis glomerata), სხვადასხვა % - ლი შემადგენლობით;
11	ბელტის / კორდის დაგება 2000 მ2 ფართობზე უნდა შესრულდეს ტენდერში გამარჯვებიდან არა უგვიანეს 25 კალენდარული დღისა.